საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №140/17

-- -- 2017 წლის 03 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 20 აპრილის №140/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით მისი საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით 2017 წლის მარტიდან განსახილველად ეწერა მოსამართლე - -- --. მოსამართლის მიერ სხვადასხვა მიზეზით (მხარის გამოუცხადებლობა, თარჯიმნის არ ყოფნა და სხვა) არაერთხელ გადაიდო პროცესი ერთი და ორი თვის შუალედებით. მიუხედავად იმისა,

რომ საქმეში წარდგენილია ყველა მტკიცებულება, მოსამართლე არ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ამასთან, 2018 წლის 01 თებერვალს -- -- დამატებითი განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს და აღნიშნა, რომ 2017 წლის 13 ნოემბერს მიღებული დადგენილება მას 2 თვის დაგვიანებით იანვარში ჩაბარდა, ხოლო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს შესაბამისი რეაგირებისათვის საერთოდ არ გადაგზავნია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 19 აპრილს -- -- საჩივრით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 3 აპრილის №--/-- დადგენილების ბათილად ცნობა და -- -- მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2017 წლის 24 აპრილის დადგენილებით საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში; სასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 19 მაისს; მოპასუხეს დაევალა 2017 წლის 3 აპრილის №--/-- დადგენილებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სასამართლოსათვის წარდგენა.

2017 წლის 19 მაისს ჩატარდა სასამართლო სხდომა და საოქმო განჩინებით საქმეში დაინტერესებულ პირებად მოწვეულ იქნენ -- -- და -- --. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2017 წლის 19 ივნისს.

2017 წლის 21 ივნისის ცნობის თანახმად 2017 წლის 19 ივნისს 12:30 საათზე თავისუფალი დარბაზის არ ქონის გამო -- -- საქმეზე სხდომა გადაიდო 2017 წლის 30 ივნისს 13:30 საათზე.

2017 წლის 30 ივნისს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და საქმის განხილვის გადადება მოითხოვა, ვინაიდან, იმყოფებოდა სამსახურეობრივ შეხვედრაზე.

2017 წლის 30 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 1 აგვისტოს.

2017 წლის 1 აგვისტოს სასამართლო სხდომა მოსამართლის მიერ №-- ადმინისტრაციული საქმის მასალების გამოთხოვის და გაცნობის მიზნით გადაიდო 2017 წლის 18 სექტემბერს.

2017 წლის 18 სექტემბრის სასამართლო სხდომა მტკიცებულებათა განხილვა/შემოწმების ეტაპიდან გადაიდო 2017 წლის 2 ოქტომბერს.

2017 წლის 2 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ექსპერტი და საქმე მხარეთა პაექრობის სტადიიდან გადაიდო 2017 წლის 9 ოქტომბერს.

2017 წლის 9 ოქტომბრის სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის და ჩატარდა 2017 წლის 27 ოქტომბერს. განსახილველ საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 13 ნოემბერს.

2017 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 3 აპრილის №--/-- დადგენილება და 2017 წლის 5 აპრილის №ელ-- საჯარიმო ქვითარი და საქმე ხელახლა განხილვისათვის გადაეგზავნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ნოემბრის დადგენილება მხარეებს, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნათ 2018 წლის 17 იანვარს.

2.2. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა - 154 ადმინისტრაციული საქმე, დაასრულა - 154 ადმინისტრაციული საქმე; ასევე განსახილველად ეწერა - 1832 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და დაასრულა - 1425 სამართალდარღვევის საქმე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა

-- -- 2017 წლის 3 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით მე-2 პუნქტის „ე“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) და „ვ“ (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ქვეპუნქტებით (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგნული კანონის 75^{12} მუხლის პირველი

პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდეგ, არ დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის მოსაზრებას მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხედველობაში მიიღო მოსამართლის დატვირთულობა, ამასთან, ის გარემოებები, რომ მოსამართლემ საქმეზე განახორციელა არაერთი საპროცესო მოქმედება და მიღებული დადგენილება იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის ვადის დარღვევა გამოწვეული იყო საქმის ყოველმხრივი გამოკვლევით. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №140/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი